



სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის  
კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

არგუმენტირებული ესეს წერასთან დაკავშირებული სირთულეები და მათი  
მოგვარების გზები  
(კვლევის ანგარიში)

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: ნინო დანგაძე

ქუთაისი

- 2019 -

## სარჩევი

შესავალი	3
თავი I	
1.1 საკვლევი საკითხის მიმოხილვა	4
1.2 საკვლევი საკითხის აქტუალურობის დასაბუთება და პრობლემის ანალიზი	4
თავი II	
2.1 საკვლევი კითხვების ფორმულირება	6
2.2 კვლევის მიზანი და ამოცანები	7
2.3 კვლევის ვადები	8
თავი III	
ლიტერატურის მიმოხილვა	8
თავი IV	
4.1 კვლევის მეთოდები	15
4.2 მონაცემთა ანალიზი	16
თავი V	
ჩარევის (ინტერვენციის) დაგეგმვა	20
თავი VI	
ინტერვენციების შედეგები და მათი ანალიზი	20
თავი VII	
7.1 მიგნებები და რეკომენდაციები	24
7.2 კვლევის ნაკლოვანებები	26
თავი VIII	
დასკვნა	26
რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ	27
ბიბლიოგრაფია	28
დანართი N 1	29
დანართი N 2	32

## შესავალი

მოცემული ნაშრომი წარმოადგენს სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში განხორციელებული კვლევის ანგარიშს.

ნაშრომი მოიცავს რვა თავს. I თავში მოცემულია საკვლევი საკითხის მიმოხილვა, დასაბუთებულია მისი აქტუალობა და გაანალიზებულია პრობლემა. II თავში წარმოდგენილია საკვლევი კითხვების ფორმულირება, დასახულია კვლევის მიზანი და ამოცანები, სქემის სახით მოცემულია კვლევის ვადები. III თავი მთლიანად ეთმობა საკვლევ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვას. IV თავში განხილულია კვლევის მეთოდები და წარმოდგენილია მონაცემთა ანალიზი. V თავი ეხება ინტერვენციების დაგეგმვას, ხოლო VI თავში განხილულია ინტერვენციების შედეგები და მოცემულია მათი ანალიზი. VII თავი ეთმობა კვლევის მიგნებებსა და რეკომენდაციებს, ასევე, წარმოდგენილია კვლევის ნაკლოვანებები. VIII თავი მოიცავს კვლევის შედეგად გამოტანილ დასკვნას, ნაშრომის დასასრულს მოცემულია რეფლექსია, ბიბლიოგრაფია და დანართები.

2018-2019 სასწავლო წელს პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა განვახორციელე ჩემს სადამრიგებლო მე-11 კლასში, რომელსაც ვასწავლი 2 წელია. ჩემი მიზანი იყო, დავხმარებოდი მოსწავლეებს არგუმენტირებული ესეს წერასთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევაში. ლიცეუმი წარმოადგენს პანსიონატის ტიპის დაწესებულებას და მასწავლებლებს საშუალება გვაქვს, დავაკვირდეთ მოსწავლეებს არა მხოლოდ საგაკვეთილო, არამედ დამოუკიდებელი მუშაობის\_თვითმომზადების\_ პროცესშიც, რომლის დროსაც, ძირითადად, ასრულებენ კადეტები წერით დავალებებს. მასზე დაკვირვებამ გამოკვეთა მოსწავლეთა საჭიროებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ ჩემი კვლევის თემად ავირჩიე „არგუმენტირებული ესეს წერასთან დაკავშირებული სირთულეები და მათი მოგვარების გზები“

## თავი I

### 1.1 საკვლევი საკითხის მიმოხილვა

კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა არის ანალიტიკური წერა. დახვეწილი წერითი უნარები გულისხმობს, რომ მოსწავლე პრაქტიკულად იყენებს იმ თეორიულ ცოდნას, რომელიც მიიღო სხვადასხვა საგანში; ფლობს ორთოგრაფიულ და პუნქტუაციურ ნორმებს, შეუძლია სხვათა მოსაზრების არა მხოლოდ შეფასება, არამედ საკუთარის ჩამოყალიბება და დასაბუთება, მტკიცე არგუმენტებზე დაყრდნობით; მიზნობრივი ამოცანის შესატყვისი სტილით წერა.

ეროვნული სასწავლო გეგმის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტის ზოგად ნაწილში (გვ 45, კარი III, თავი XI) ნათქვამია, რომ „ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის ბირთვს წარმოადგენს ენა, როგორც პიროვნების თვითგამოხატვის, აზრის ჩამოყალიბებისა და გადაცემის საშუალება. . . ქართული ენა მხოლოდ ერთი სასწავლო საგანი კი არ არის, არამედ სწავლების ენაა, ყველა დანარჩენი საგნის შესწავლის საშუალებაა“. აქედან გამომდინარე, ის უნარები, რომელთა ფლობაც აუცილებელია კარგი არგუმენტირებული ესეს შესაქმნელად, ბუნებრივია, გამოსაყენებელია სხვა საგნებშიც, მით უმეტეს, როცა წერითი დავალების ამ სახეობით უკვე სარგებლობენ არა მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის, არამედ უცხო ენების, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგებიც.

### 1.2 საკვლევი საკითხის აქტუალურობის დასაბუთება და პრობლემის ანალიზი

წერის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები დაწყებითი კლასებიდანვე ზრუნავენ, მიუხედავად ამისა, საშუალო საფეხურზე არგუმენტირებული ესეს წერასთან დაკავშირებით მაინც სირთულეები იჩენს თავს. მათი დაძლევა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეროვნული გამოცდების ქართული ენისა და ლიტერატურის სავალდებულო გამოცდის ერთ-ერთი დავალება სწორედ არგუმენტირებული ესეს დაწერას ითვალისწინებს და 24 ქულით ფასდება, რაც ქულათა საერთო რაოდენობის 30%-ზე მეტს შეადგენს. ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმათთვისაც, ვინც სწავლის გაგრძელებას საზღვარგარეთ გეგმავს, რადგან საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამაში

ჩართულ მოსწავლეებს სწორედ ესეს სათანადო დონეზე წერა ევალუბათ. ამგვარად, არგუმენტირებული ესეს წერის ტექნიკის დახვეწა პრინციპული საკითხია.

ხშირია შემთხვევები, როცა ბავშვები ზეპირად თამამად გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებას ამა თუ იმ საკითხის შესახებ, ასაბუთებენ კიდევ, მაგრამ როცა საქმე წერილობით ჩამოყალიბებას შეეხება, უეცრად უამრავი პრობლემა იჩენს თავს და, ერთი შეხედვით, რაც ასე მარტივი იყო ზეპირმეტყველებისას, მეტად რთულად გადასაჭრელ ამოცანად იქცევა წერის დროს, ამიტომ ზოგადად წერითი უნარ-ჩვევების დახვეწა და კონკრეტულად არგუმენტირებული ესეს წერასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საშუალო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისათვის, მით უმეტეს, „საშუალო საფეხური, ფაქტობრივად მოსწავლეთა უმაღლესი სკოლისათვის მომზადებას ემსახურება. სწავლების ამ ეტაპის დასრულების შემდეგ მოსწავლეს თავისუფლად შეუძლია დაეუფლოს ნებისმიერ პროფესიას“ (ესგ. გვ 49). ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი მოსაზრების არგუმენტირებულად წერილობით ფორმით ჩამოყალიბება ის მნიშვნელოვანი უნარია, რომელიც მომავალში ნებისმიერ მოსწავლეს შეიძლება დასჭირდეს, განურჩევლად იმისა, თუ რომელ პროფესიას აირჩევს იგი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აკადემიური წერის კურსს, როგორც საგანს, გადიან უმაღლეს სასწავლებლებშიც. ბუნებრივია, მის საფუძვლებს მოსწავლეები სწორედ სკოლაში უნდა დაეუფლონ.

საშუალო საფეხურის მოსწავლეებს უძნელდებათ არგუმენტირებული ესეს წერა რამდენიმე მიზეზის გამო:

- ✓ მოსწავლე უნდა ფლობდეს მდიდარ ლექსიკურ მარაგს;
- ✓ უნდა ჰქონდეს მკაფიო წარმოდგენა თანამედროვეობის აქტუალურ და პრობლემატურ საკითხებზე;
- ✓ არგუმენტირება მოითხოვს მრავალმხრივ ცოდნას;
- ✓ მნიშვნელოვანია, მოსწავლე ფლობდეს ცოდნის ტრანსფერის უნარს;
- ✓ საჭიროა მოსწავლეს ჰქონდეს ლექსიკონზე მუშაობის უნარ-ჩვევა (რადგან ზოგჯერ ესეს პირობა შეიცავს უცხო სიტყვას, რომლის არაზუსტმა დეფინიციამ, შესაძლოა, თემას აგვაცდინოს);
- ✓ საჭიროა ისეთი მაღალი დონის სააზროვნო უნარები, როგორებიცაა: ანალიზი, სინთეზი, შეაფასება;
- ✓ მოსწავლეს უნდა შეეძლოს დიდი მოცულობის ინფორმაციის დახარისხება;

ყველაზე დიდი პრობლემა, რომელსაც, ძირითადად, საშუალო საფეხურზე ვაწყდებით, არის შაბლონური აზროვნება. მოსწავლეები ისწრაფვიან, დროის დაზოგვის მიზნით მოძებნონ ესეს წერის მარტივი გზა, ცდილობენ მზა ფორმულების დახეპირებას (ბუნებრივია, ამაში არ იგულისხმება ჩართულის ტიპის ენობრივი ფორმულები, რომლებიც საჭიროა ესეს ნაწილების დასაკავშირებლად), რომლებსაც მიუსადაგებენ ნებისმიერ ესეს. ეს კი არასწორი მიდგომაა და ეწინააღმდეგება შემოქმედებითი აზროვნების პრინციპებს. ეროვნული გამოცდების ქართული ენისა და ლიტერატურის სავალდებულო გამოცდის ესეს შეფასების კრიტერიუმებში (დანართი N1) ერთ-ერთი, მე-3, კრიტერიუმი, პრობლემის გააზრება, სწორედ პრობლემის სხვადასხვა ჭრილში განხილვას გულისხმობს, რაც გამორიცხავს შაბლონურ მიდგომას.

საკითხის აქტუალურობას ამტკიცებს ისიც, რომ არგუმენტირებული ესეს წერასთან დაკავშირებული პრობლემები თავს იჩენს არა მხოლოდ ერთ კლასში, არამედ საშუალო საფეხურზე ზოგადად, თუმცა სხვადასხვა ფორმით, რის შესახებაც ხშირად ვსაუბრობთ კათედრაზე.

## თავი II

### 2.1 საკვლევი კითხვების ფორმულირება

პრობლემაზე დაკვირვების შემდეგ განვსაზღვრე კვლევის ორიენტირი და შევიმუშავე მთავარი საკვლევი კითხვა:

**რომელი მეოთხედების, აქტივობებისა და რესურსების გამოყენებით შეიძლება დავაძლევინოთ მოსწავლეებს არგუმენტირებული ესეს წერასთან დაკავშირებული სირთულეები?**

კვლევის მთავარ კითხვაში აღნიშნული პრობლემის მიზეზების დადგენაში დაგვეხმარება შემდეგ ქვეკითხვებზე პასუხების გაცემა:

- რამდენად იციან მოსწავლეებმა, თუ რა განსხვავებაა არგუმენტირებულ ესესა და სხვა სახის წერილობით დავალებებს, მაგალითად, თხზულებას შორის?
- როგორ გავხადოთ წერის პროცესი საინტერესო?
- რამდენად განსაზღვრავს არგუმენტირებული ესეს დასაწერად შერჩეული თემა მოსწავლეთა განწყობასა და მოტივაციას?
- როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს დააღწიონ თავი შაბლონების ძიებას, რათა იაზროვნონ თავისუფლად?

- როგორ მივაჩვიოთ მოსწავლეები სხვა საგნებში დაგროვებული ცოდნის გამოყენებას ესეს არგუმენტირებისას?
- ხომ არ ზღუდავს ესეს მკაცრად განსაზღვრული სტრუქტურა წერისას მოსწავლეთა შემოქმედებით თავისუფლებას?
- როგორ მივაჩვიოთ მოსწავლეები საკუთარი ნაწერების რედაქტირებას?

## 2.2 კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანი იყო, არგუმენტირებული ესეების წერის დროს წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიცირება, ანალიზი და მათი გადაჭრის გზების მოძიება, მიზნობრივი ინტერვენციების განხორციელება და რეკომენდაციების შემუშავება.

### კვლევის ამოცანებია

- ხელი შევუწყოთ მოსწავლეებს, გათავისუფლდნენ მზამზარეული შაბლონებისაგან არგუმენტირებული ესეს წერის დროს;
- დავეხმაროთ მოსწავლეებს იმის გააზრებაში, რომ ესეს სტრუქტურა არ გულისხმობს ჩარჩოებში მოქცევას და შეუძლიათ, ააგონ მსჯელობა საკუთარი შეხედულებისამებრ;
- გაკვეთილის დროს გამოვიყენოთ ისეთი აქტივობები, რომლებიც ესეს წერას აქცევს შემოქმედებით პროცესად და მოსწავლეებს დადებითად განაწყობს;
- გაკვეთილის პროცესში გამოვიყენოთ ისეთი აქტივობები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს ესეზე დამოუკიდებლად მუშაობის დროს;
- დავანახოთ მოსწავლეებს საკუთარი ნაშრომების რედაქტირების აუცილებლობა;

### 2.3 კვლევის ვადები

	აქტივობები	თვეების მიხედვით									
		სექტ.	ოქტ.	ნოემ.	დეკ.	იანვ.	თებ.	მარტი.	აპრ.	მაისი	ივნ.
1	დიაგნოსტიკური წერა	X									
2	პრობლემის განსაზღვრა	X									
3	გეგმის შედგენა		X								
4	მონაცემთა შეგროვება	X	X								
5	კითხვარის შემუშავება		X								
6	გამოკითხვა		X	X							
7	შედეგების ანალიზი			X							
8	ინტერვენციების შემუშავება			X	X						
9	ინტერვენციების განხორციელება				X	X	X	X	X	X	X
10	დასკვნების გამოტანა										X
11	კვლევის ანგარიშის კოლეგებისთვის გაზიარება										X

### თავი III


#### ლიტერატურის მიმოხილვა

არსებული პრობლემის დასაძლევად მოვიძიე სხვადასხვა სახის ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით ბოლო დროს საკმაოდ მრავალფეროვანი რესურსი არსებობს, რომელთა შორის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია რამდენიმე მათგანმა და გთავაზობთ მათ მოკლე მიმოხილვას:

უპირველესად, განვმარტოთ, რას წარმოადგენს არგუმენტირებული ესე. მკვლევრები მრავალ დეფინიციას გვთავაზობენ, რომელთა შორის შევარჩიეთ შემდეგი: „არგუმენტირებული ესე არის ანალიტიკური ტექსტი, რომელიც შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა. მისი მიზანია, დასვას პრობლემა, განიხილოს და გააანალიზოს (დაასაბუთოს არგუმენტებით, წარმოადგინოს ინტერპრეტაცია, პარალელები, მოსალოდნელი შედეგები...), შეაჯამოს სათქმელი და გამოთქვას სათანადო დაკვსვნები. სტრუქტურულად გამართულ არგუმენტირებულ ესეში, ერთი მხრივ, ზემოთ განხილული



კომპონენტები დამოუკიდებელი ერთეულებია, რომელთა შორისაც აუცილებელია არსებობდეს ლოგიკური და მიზეზშედეგობრივი კავშირები“ (ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი, „ანალიტიკური წერა“) აქვე ავტორები წარმოადგენენ სქემას, რათა ნათქვამი ვიზუალური თავლსაზრისით იყოს ადვილად აღსაქმელი:



ქეთევან თოფაძის წიგნში „წერითი მეტყველების სწავლების სტრატეგიები“ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია პროცესზე ორიენტირებული წერითი მეტყველების სწავლების მეთოდზე, რომელიც, ავტორის თქმით, „ეწინააღმდეგება წერითი მეტყველების სწავლების იმ ტიპის მიდგომას, როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებს რამე თემას მისცემს დასაწერად და მეორე დღეს ნაწერებს ჩაიბარებს მათი გასწორების, ნიშნების დაწერისა და შედეგების მომენტალურად ჟურნალში შეტანის მიზნით“ (ქეთევან თოფაძე, „წერითი მეტყველების სწავლების სტრატეგიები“; გვ 16)

ვფიქრობ, პროცესზე ორიენტირებული წერა განსაკუთრებით ეფექტიანი მეთოდია არგუმენტირებული ესეს წერის დროს, რადგან მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, გარკვეული დროის განმავლობაში (რომელსაც წინასწარ განსაზღვრავს მასწავლებელი მოსწავლეებთან შეთანხმებით), მოიძიონ და დაახარისხონ თემის ირგვლივ არსებული

ინფორმაცია. ამ დროს მოსწავლეებს ეძლევათ „კითხვების დასმის, ინფორმაციის დაზუსტების, ბუნდოვანი საკითხების ნათელყოფის შანსი“ (ქეთევან თოფაძე, „წერიტი მეტყველების სწავლების სტრატეგიები“; გვ 16)

აღნიშნულ წიგნში ბევრ სხვა საინტერესო და საჭირო საკითხთან ერთად განხილულია **სინოფსისის სტრატეგია** (გვ 5), რომლის ანალიზიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, გაითვალისწინონ ერთმანეთის გამოცდილება და მეგობრებსა და მასწავლებლებთან ერთად დასახონ კონკრეტული პრობლემების გადაჭრის გზები. აქვე ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მოსწავლეები გაცილებით მეტი ხალისითა და ინტერესით ასრულებენ ისეთ დავალებებს, რომლებიც მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებას უკავშირდება. ამ საკითხთან მიმართებით იმავეს აღნიშნავენ ავტორები მაია ინასარიძე და მაია ნაჭყებია წიგნში „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები“:

„წერა პროდუქტიულია, როცა:

- **მოსწავლეები თავად წყვეტენ, რის შესახებ დაწერონ.** . . ამით მათ უყალიბდებათ საკუთრების განცდა, რაც ზრდის პასუხისმგებლობასა და ინტერესს.
- **მოსწავლეები წერენ რეგულარულად**—როცა მათ იციან, რომ ხშირად მოუწევთ წერა, „იძულებულნი“, არიან, იფიქრონ მაშინაც კი, როცა არ წერენ.
- **საწერი თემა საინტერესოა;**
- **მოსწავლეს აქვს წერის მაგალითი;**
- **მოსწავლეს აქვს მხარდამჭერი გარემო;**“

(მაია ინასარიძე და მაია ნაჭყებია, „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები“, გვ 207–208)

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია გავაკეთოთ საკმაოდ მარტივი, მაგრამ საგულისხმო დასკვნა: თუ საშუალო საფეხურის მოსწავლისათვის არგუმენტირებული ესეს თემად შევარჩევთ იმას, რაც განსაკუთრებით აღელვებს მათი ასაკის მოზარდებს, ბუნებრივია, ისინი უფრო თამამნი იქნებიან საუთარი აზრის გამოთქმის დროს, არგუმენტების მოფიქრებაც ნაკლებად გაუჭირდებათ და წერა სასიამოვნო პროცესად გადაიქცევა. ამასთანავე, უნდა წავახალისოთ მოსწავლეები, რომ საკუთარი ნაწერები გაუზიარონ თანატოლებს. მიღებული რჩევები, რეკომენდაციები და წახალისება, ასევე, თანატოლების აზრისა და მათი არგუმენტების მოსმენა მეტ გამოცდილებას შესძენს მოსწავლეს და მისცემს სტიმულს, წეროს უკეთ.


დავუბრუნდეთ ისევ ქეთევან თოფაძის „წერიტი მეტყველების სწავლების სტრატეგიებს“. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ესეს წერის დროს ისეთ მნიშვნელოვან

საკითხზე, როგორცაა ნაწერის რედაქტირება და სავსებით სწორად შენიშნავს, რომ ეს პროცესი არ მოიცავს ნაშრომის გასწორებას მხოლოდ ორთოგრაფიული, სტილისტური თუ პუნქტუაციური გამართულობის თვალსაზრისით. მეტად მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს წინასწარ გავაცნოთ ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ვასწორებთ მათ ნამუშევრებს. ასევე გარკვეული დრო უნდა დაეთმოს ამ კრიტერიუმების მიმოხილვას, რათა მოსწავლემ შეძლოს მათი მიხედვით საკუთარი ნაწერის რედაქტირება.


ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს „ფოკუსირებული გასწორების“ სტრატეგიაზე, რომლის დროსაც მასწავლებელი ირჩევს 2 კრიტერიუმს (სასურველია, ერთი მათგანი მოიცავდეს შინაარსობრივ-იდეური, მეორე კი ტექნიკური გამართულობის კომპონენტს) და მხოლოდ მათი მიხედვით ასწორებს მოსწავლის ნამუშევარს, შემდეგ კი აძლევს განმავითარებელ შეფასებას „დამხმარე კომენტარების“ სახით (გვ 27). ეს მოსწავლეს საშუალებას აძლევს, გააცნობიეროს შეცდომის გამომწვევი მიზეზები, ეძებოს მათი აღმოფხვრის გზები ანუ შეასრულოს დამატებითი სამუშაო, რაც უვითარებს კვლევა-ძიების უნარ-ჩვევებს და აუმჯობესებს წერითი მეტყველების კულტურას.

ასევე მეტად საინტერესო სტრატეგიაა მოსწავლეებთან ერთად წერის პრაქტიკის დანერგვა. როგორც ავტორი აღნიშნავს, ეს ხელს უწყობს მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის საქმიანი და, ამავდროულად, უშუალო ატმოსფეროს ჩამოყალიბებას და ცოცხალი მაგალითის მეშვეობით ანახებს მოსწავლეებს, რომ „იდეალური ნაწერი არ არსებობს, რომ წერა მარადიული სრულყოფილების პროცესია; ნაწერის იდეური თუ მხატვრული განვითარება და დახვეწა მხოლოდ მოსწავლეთა ხვედრი კი არ არის, არამედ ყველა მწერლის მოვალეობა და პასუხისმგებლობაა“ (გვ 45).


ორგანიზებულად და ადვილად აღსაქმელადაა წარმოდგენილი ესეც დაგეგმვის საფეხურები ნანა შავთვალაძის წიგნში: „აკადემიური წერის საფუძვლები“. ავტორი გამოყოფს ხუთ საფეხურს:



მოცემულ სქემას თუ დავუმატებთ ორ პუნქტს ისევე, როგორც ნაშრომში მოცემული ესეი ალგორითმიდან ( . . . „ . . . „, გვ 8) შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრაქტიკულად მეტად გამოსაყენებელ მითითებებს მივიღებთ.



ნანა შავთვალაძე ასევე გვთავაზობს ინფორმაციის შეგროვებისა და ორგანიზების სტრატეგიებს, რომლებიც ესეს წერისას მოსწავლეებს მნიშვნელოვნად დაეხმარება.



(ნანა შავთვალაძე „აკადემიური წერის საფუძვლები“. გვ 39)

ზემოთ მოცემულ სტრატეგიებთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ერთი გარემოება: პირველ ეტაპზე, ვიდრე მოსწავლეები გაითავისებენ მოცემულ სტრატეგიებს, უკეთესი იქნება, თუ მასწავლებელთან ერთად იმუშავენ, რათა მათ ჰქონდეთ აღნიშნულის პრაქტიკულად გამოყენების თვალსაჩინო მაგალითი.

არგუმენტირებული ესეს წერასთან დაკავშირებულ სირთულეებსა და მათი დაძლევის გზებზე მეტად საინტერესო იყო მკვლევარის სტატია „კიდევ ერთხელ არგუმენტირებული ესეს კონსტრუირებაზე“ (mastsavlebeli.ge 6 დეკემბერი 2018 წელი). ავტორი აღნიშნავს, რომ „ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების უმთავრეს გამოწვევად რჩება არგუმენტირებული ანუ ანალიტიკური ესეს წერის სწავლება სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე“. ავტორი განიხილავს არგუმენტირებული ესეს წერასთან დაკავშირებულ მრავალ პრობლემას: „გარდა იმისა, რომ ესეს აქვს მკაცრად ორგანიზებული სტრუქტურა, ის მოითხოვს ხვადასხვა ტიპისა და თემატიკის საზოგადოებრივ, საკაცობრიო, პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ, სოციალურ მოვლენებზე, ჰუმანიტურ ღირებულებებზე ინფორმირებულობას, პრობლემის ფიქსირების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარებს, პრობლემის გადაჭრის გზების მიგნებას.“

ჩემთვის განსაკუთრებით საგულისხმო იყო ავტორისაგან იმის აღნიშვნა, რომ, ესეს მკაცრად განსაზღვრული სტრუქტურის მიუხედავად, არ უნდა მოვექცეთ ჩარჩოებში, მოსწავლეებსაც უნდა ვუბიძგოთ, შემოქმედებითად მიუდგნენ საკითხს და არ შეიზღუდონ აზროვნების თავისუფლებაში.

წერთი უნარების დასახვეწად მეტად საინტერესო მეთოდს გვთავაზობს ნესტან რატანი თავის სტატიაში „არგუმენტირებული ესე\_როგორ დავებმართო მოსწავლეებს“ (mastsavlebeli.ge 2 მაისი 2017 წელი). ავტორი აღნიშნავს, რომ კარგი იქნება, თუ ვისარგებლებთ შემდეგი აბრევიატურით: SEXI, რაც გულისხმობს: S\_State \_ წარმოადგინე, EX\_ Explain–ახსენი, I-Illustrate–დაასურათე. ესეს წერის დროს მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს დებულებები და მოიხმოს შესაბამისი მაგალითები; ახსნისას ლოგიკური მსჯელობით უნდა დაასაბუთოს დებულების მართებულობა და ეს უნდა ეფუძნებოდეს მისივე ღირებულებათა სისტემას. „სწორედ აქ ჩნდება მესამე ზმნის საჭიროებაც, რადგან ის მაგალითები, რომლებიც ახსნისას ამოტივტივდება, ხელოვნური კი არა, ავტორის გამოცდილებაზე დამყარებული უნდა იყოს“

მეტად ეფექტიან სტრატეგიას გვთავაზობს ავტორი სტატიის ბოლოს, კერძოდ, იგი გვიზიარებს ერთ მნიშვნელოვან მიგნებას: სანამ მოსწავლეები არგუმენტირებული ესეს წერაზე გადავიდოდნენ, შედეგიანია სოკრატული დიალოგების წერაში გავარჯიშება. ავტორი აქვე ასაბუთებს ამ მეთოდის ეფექტიანობას: „დიალოგი ხომ ის ჟანრია, რომელშიც საშუალება გვეძლევა, არაჩვეულებრივად დავაპირისპიროთ ერთმანეთთან მოსაზრებები, არ შეგვეშინდეს უკიდურესი აზრის გამოთქმის“. ვფიქრობ, ეს ძალიან კარგი საშუალებაა შაბლონური მიდგომებისაგან გასათავისუფლებად, რათა მოსწავლეებს ვუბიძგოთ პრობლემების მოგვარების ორიგინალური და ალტერნატიული გზების ძიებისაკენ.

არგუმენტირებული ესეს წერისას არგუმენტირების სტრატეგიების არჩევის დროს აუცილებელია, მოსწავლეებს განვუმართოთ, რომ საჭიროა საწინააღმდეგო აზრის დაშვება და შემდეგ მისი უარყოფა. სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას ლია წულაძე თავის ნაშრომში „აკადემიური წერა“. მართალია, სახელმძღვანელო განკუთვნილია სტუდენტებისათვის, მაგრამ მასწავლებლის მხრიდან მცირე მოდიფიცირების შემთხვევაში იგი დიდად დაეხმარება ქართული ენისა და ლიტერატურის საშუალო საფეხურის პედაგოგებს არგუმენტირებული ესეს წერის დროს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრაში. ავტორი აღნიშნავს: „არგუმენტირება აუცილებლად გულისხმობს საპირისპირო პოზიციის არსებობას. ამიტომ, მკითხველის მხარდაჭერის მოსაპოვებლად ავტორმა არა მარტო საკუთარი პოზიცია უნდა ახსნას და დაასაბუთოს, არამედ ოპონენტის სავარაუდო არგუმენტიც უნდა განჭვრიტოს და უკუაგდოს.

ოპონენტის არგუმენტის განხილვა და უკუგდება აუცილებელია, რადგან საზოგადოებაში იარსებებს ადამიანთა თუნდაც მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც საპირისპირო მოსაზრებისაა, რაც მკითხველისათვის ისედაც ცნობილია. ამ საპირისპირო აზრის გაუთვალისწინებლობა ისევ ავტორის პოზიციის სისუსტეზე მეტყველებს, რადგან იქმნება შთაბეჭდილება, რომ მას არ შესწევს უნარი, „შეეჭიდოს“ ოპონენტებს. თანაც, ავტორმა ოპონენტთა ყველაზე ძლიერი არგუმენტის უკუგდება უნდა სცადოს, რაც კიდევ ერთხელ დაარწმუნებს მკითხველს მისი პოზიციის დამაჯერებლობაში. რაც შეეხება ყველაზე ძლიერი კონტრარგუმენტის განსაზღვრას, ამაში ავტორს მომხრე-მოწინააღმდეგის სქემა დაეხმარება, სადაც მის ყოველ არგუმენტს შესაბამისი კონტრარგუმენტი ახლავს. ოპონენტთა არგუმენტების შეფასებისას, აუცილებელია შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- რამდენად ძლიერია ჩემი ოპონენტების არგუმენტები?
- მისაღებია ჩემთვის რომელიმე მათგანი, თუნდაც ნაწილობრივ?
- რამდენად ახლოს იდგება მკითხველი ჩემი ოპონენტების პოზიციასთან?
- ხომ არ არის რაიმე ლოგიკური სისუსტე ჩემი ოპონენტების პოზიციაში?“

(წულაძე ლია, „აკადემიური წერა“, გვ 20)

აღნიშნული კითხვები დაეხმარება მოსწავლეებს კონტრარგუმენტების ჩამოყალიბებასა და მათ უკუგდებაში, რაც საკმაოდ რთული პროცესია და თავდაპირველად, ბუნებრივია, გაუჭირდებათ კიდევ, თუმცა რეგულარული წერა უზრუნველყოფს ამ სირთულეთა დაძლევას.

მოცემული ლიტერატურის დამუშავებამ გამაცნო ესეზე მუშაობის რამდენიმე საგულისხმო მეთოდი, რომლებიც წარმატებით გამოვიყენე მოსწავლეებთან მუშაობის დროს.

## თავი IV

### 4.1 კვლევის მეთოდები

კვლევის დროს გამოვიყენე როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები. თვისებრივი მეთოდებიდან ავირჩიე ფოკუსირებული დაკვირვება და ფოკუსჯგუფი, ხოლო რაოდენობრივი მეთოდებიდან\_ ანკეტირება.

ფოკუსირებული დაკვირვების დროს გამოვკვეთე კვლევის შემდეგი კონკრეტული ელემენტები, კერძოდ, არგუმენტირებული ესეს წერის დაწყებამდე ინფორმაციის შეგროვებისა და ორგანიზების სტრატეგიებიდან რომელი მათგანია ყველაზე შედეგიანი; როგორ მიჰყვებიან

მოსწავლეები ესეს წერის ჩემ მიერ შეთავაზებულ საფეხურებს; თუ რა სირთულეებს აწყდებიან ისინი უშუალოდ არგუმენტირებული ესეს წერის დროს, ეს გამოიკვეთა დახურული ანკეტირებით.

შექმენი 2 ფოკუსჯგუფი მე-11 კლასის ბაზაზე. თითოეული მათგანი შედგებოდა 9-9 წევრისაგან. ფოკუსჯგუფებზე დაკვირვებით გამოვკვეთე კვლევის მნიშვნელოვანი საკითხები, რადგან ფოკუსჯგუფმა რესპოდენტებს საშუალება მისცა, გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრება, რამაც მიზიძგა გარკვეული დასკვნებისაკენ.

დახურული ანკეტირებისას გამოვიყენე შემდეგი კითხვები:

	კითხვები	კი	არა	ნაწილობრივ ზოგჯერ
1	ჩემთვის წერა სასიამოვნო პროცესია			
2	ნაწერის ხარისხზე მოქმედებს სპეციფიკური დღის განრიგი			
3	მნიშვნელოვნად მიმაჩნია პირველადი ვარიანტის რედაქტირება			
4	რედაქტირების დროს ვცვლი ნაშრომის იდეურ-მატერულ მხარეს			
5	რედაქტირების დროს ვცვლი ნაშრომის ტექნიკურ მხარეს			
6	არგუმენტირებული ესეს წერას მიადვილებს ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოში გამოყენებული მასალა და მოცემული სავარჯიშოები;			
7	არგუმენტირებული ესეს წერის დროს მეხმარება პირადი ცხოვრებითული გამოცდილება			
8	არგუმენტირებული ესეს წერის დროს მეხმარება სხვა საგნებიდან მიღებული ცოდნა			


#### 4.2 მონაცემთა ანალიზი

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების დახარისხების საფუძველზე, ფოკუსირებულმა დაკვირვებამ და ფოკუსჯგუფებთან გასაუბრებამ გვიჩვენა :

მოსწავლეთა 56% მიიჩნევს, რომ ესეს წერის საწყის ეტაპზე ინფორმაციის შეგროვებისა და ორგანიზების სტრატეგიებიდან მათთვის ყველაზე პროდუქტიული და შედეგიანია გონებრივი იერიშის მეთოდი; 22% ეფექტურ სტრატეგიად ასახელებს მაპროვოცირებელ შეკითხვებს; 17%-ს წერის ორგანიზების მისთვის მოსახერხებელ სტრატეგიად აბლაბუდა-კლასტერი მიაჩნია, ხოლო 5% ასახელებს თავისუფალ წერას.



## ინფორმაციის შეგროვებისა და ორგანიზების სტრატეგიები




ესეს წერის პირველი ეტაპი, როგორც მოგეხსენებათ, არის თემის შერჩევა. ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეები და ვცდილობ, თემა ყოველთვის მათი ინტერესის სფეროების შესაბამისად შევარჩიო. აქედან გამომდინარე, ქვემოთ მოცემული მონაცემები მოიცავს თემის შერჩევის შემდეგ გასავლელ ეტაპებს, რომლებზედაც მოსწავლეებს ძირითადად დამოუკიდებლად უწევთ მოშაობა.

ინფორმაციის შეგროვება და ორგანიზება ესეს წერის დაწყებამდე გასავლელი ეტაპია, რათა წერის დაწყებისას მოსწავლე გაეცნოს თემას, განსაზღვროს საკითხი და მეტ-ნაკლებად სრულყოფილი წარმოდგენა ჰქონდეს პრობლემაზე. ესეს წერა მოიცავს სხვა საფეხურებსაც, რომელთაგან ზოგიერთს მოსწავლეები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას ან საერთოდ უგულებელყოფენ. ამ პრობლემაზე დაკვირვების შედეგად მონაცემები შედეგაირად გადანაწილდა:


ესეს შექმნისათვის საჭირო ყველა საფეხურს თანმიმდევრულად გადის 11%, 22% მიჰყვება ყველა საფეხურს, მე-3-ის გარდა (ესეს დაგეგმვა), 34% იცავს მხოლოდ ინფორმაციის შეკრების, ესეს ძირითადი თეზისის ფორმულირებისა და პირველადი ვარიანტის შექმნის საფეხურებს, ხოლო 33% ესეს წერის დროს ინფორმაციის შეკრების შემდეგ მაშინვე ქმნის ესეს პირვანდელ ვარიანტს და დანარჩენ საფეხურებს უგულებელყოფს.

მოსწავლეები იცავენ არგუმენტირებული ესეს  
შექმნის შემდეგ საფეხურებს:




ამრიგად, დაკვირვებამ გამოავლინა მეტად მნიშვნელოვანი ხარვეზი, კერძოდ, ესეს შექმნის ისეთ საფეხურებს, როგორებიცაა: ნაშრომის დაგეგმვა, არგუმენტირების სტრატეგიის არჩევა და ნაშრომის რედაქტირება ძალიან მცირე ყურადღება ექცევა, რაც აისახება კიდევ ნაშრომის საბოლოო ვარიანტზე.

მოსწავლეთა რაოდენობა



არგუმენტირებული ესეს წერის დროს ყველაზე მეტად არგუმენტირების სტრატეგიების განსაზღვრა უჭირს 4 მოსწავლეს; მათთვის უინტერესო საკითხზე წერისას არგუმენტების მოფიქრება პრობლემატურია 7 მოსწავლისათვის, ხოლო 4 მოსწავლისთვის სირთულეს წარმოადგენს მწირი ლექსიკური მარაგი.



**ანკეტირების შედეგები**

	კითხვები	კი	არა	ნაწილობრივ ზოგჯერ
1	ჩემთვის წერა სასიამოვნო პროცესია	16%	50%	34%
2	ნაწერის ხარისხზე მოქმედებს სპეციფიკური დღის განრიგი	33%	34%	33%
3	მნიშვნელოვნად მიმაჩნია პირველადი ვარიანტის რედაქტირება	20%	52%	28%
4	რედაქტირების დროს ვცვლი ნაშრომის იდეურ-მატერულ მხარეს	17%	44%	39%
5	რედაქტირების დროს ვცვლი ნაშრომის ტექნიკურ მხარეს	50%	22%	28%
6	არგუმენტირებული ესეს წერას მიადვილებს ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოში გამოყენებული მასალა და მოცემული სავარჯიშოები;	10%	68%	22%
7	არგუმენტირებული ესეს წერის დროს მეხმარება პირადი ცხოვრებიეული გამოცდილება	22%	22%	56%
8	არგუმენტირებული ესეს წერის დროს მეხმარება სხვა საგნებიდან მიღებული ცოდნა	25%	42%	33%

## თავი V

### ჩარევის (ინტერვენციის) დაგეგმვა

მონაცემთა ანალიზისა და ინფორმაციის შეჯერების საფუძველზე, არგუმენტირებული ესესთვის საჭირო წერითი უნარების გაუმჯობესების მიზნით დავგეგმე შემდეგი სახის ინტერვენციები:

- პროექტი
- „სოკრატული დიალოგები“
- T სქემა
- დისკუსია
- რესურსი
- თავისუფალი წერა
- ერთად წერა
- საკუთარი ნაწერების რედაქტირება
- სამოდულო გაკვეთილი

## თავი VI

### ინტერვენციების შედეგები და მათი ანალიზი

ინტერვენციების დაგეგმვის შემდეგ დავიწყე მათი მიზანმიმართული განხორციელება. რადგან მოსწავლეთა ნახევარი მიიჩნევდა, რომ წერა მათთვის უსიამოვნო პროცესი იყო, პრინციპულ აუცილებლობას წარმოადგენდა ამ მოცემულობის შეცვლა. სწორედ ამიტომ გადაწყვიტე, დამეგემა ლიტერატურული პროექტი, რომლის ფარგლებში ბავშვებს მოუწევდათ არა მხოლოდ თემასთან დაკავშირებული მასალების მოძიება და გაცნობა, არამედ თავადაც ჩაერთვებოდნენ შემოქმედებით პროცესში\_შექმნიდნენ მხატვრულ ტექსტებს, ჩემი ხელმძღვანელობით იზრუნებდნენ მათ რედაქტირებაზე და საბოლოოდ წარუდგენდნენ აუდიტორიას. პროექტის წარმატების შემთხვევაში პოზიტიური კომენტარები და რეაქციები აამაღლებდა მოსწავლეთა თვითშეფასებას, გაათამამებდა მათ და გამოუმუშავებდა წერის პროცესის მიმართ დადებით განწყობას. აქედან გამომდინარე, თემა უნდა ყოფილიყო საინტერესო და აქტუალური, სწორედ ამიტომ შევარჩიეთ ასეთი სათაური: „ფიქრები

თავისუფლებაზე“, რომელშიც მოვიაზრეთ ზოგადად ეროვნული, კონკრეტულად კი პიროვნული თავისუფლების ცნებები. აქტივობამ გაამართლა. მოსწავლეები ხალისით ასრულებდნენ სამუშაოს, და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ტექსტებზე მუშაობის პროცესში ისინი ერთმანეთს აკითხებდნენ თავიანთი თხზულებების სამუშაო ვარიანტებს, ითვალისწინებდნენ თანატოლებისაგან მიღებულ რეკომენდაციებს. პროექტის შედეგად შექმნილ მასალებს თავი მოვუყარეთ ამავე სახელწოდების აღმანახში, რომელის წარდგენამ დამსწრე აუდიტორიის დიდი ინტერესი გამოიწვია, რამაც კიდევ უფრო გაზარდა მოსწავლეთა მოტივაცია.

ქართულის მასწავლებლებმა კარგად ვიცით, რომ ხშირ შემთხვევაში, მოსწავლეები წერენ ისე, როგორც მეტყველებენ, ზოგჯერ უარესადაც. რა თქმა უნდა, არსებობს გამონაკლისებიც, როცა ბავშვებს წერა გაცილებით ემარჯვებათ, მეტყველება კი უჭირთ, მაგრამ მეტყველებითი და წერითი კულტურის თანხვედრა აუცილებელია, რათა მოსწავლე იყოს თავდაჯერებული. არგუმენტირებული ესეს წერას სჭირდება ისეთი უნარები, როგორებიცაა: აზრების მწყობრად გამოხატვა, შესაბამისი დასკვნების გამოტანა, სადავო საკითხების გადასაჭრელი გზების ძიება. სწორედ მათ განვითარებაზეა ორიენტირებული დისკუსია. დისკუსიამ მოსწავლეებს დაანახა, რომ „არსებობს უამრავი პრობლემა, რომელთაც არა აქვთ მხოლოდ ერთი გადაწყვეტა“ (მაია ინასარიძე, მაია ნაჭყებია, „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები“ გვ 72). ამასთანავე, განსხვავებული აზრების მოსმენამ ხელი შეუწყო არგუმენტებისა კონტრარგუმენტების ჩამოყალიბებას და ესეს წერისას არგუმენტირების სტრატეგიების არჩევას.

ინტერვენციების ფარგლებში შევქმენი რესურსი, რომელიც მოსწავლეებს მკაფიო წარმოდგენას უქმნიდა ესეს შემოწმების კრიტერიუმებსა და ვიზუალურ მასალას აწვდიდა ესეს შექმნის ეტაპების შესახებ. ვფიქრობ, რესურსმა მოსწავლეებს დიდი დახმარება გაუწია და ბევრ ბუნდოვან საკითხს მოჰფინა ნათელი.

გაკვეთილებზე ხშირად მივმართავდი „სოკრატული დიალოგების“ სტრატეგიას. ამან საშუალება მისცა მოსწავლეებს, გაეთავისებინათ პრობლემა, წარმოედგინათ იგი ცოცხალ ცხოვრებისეულ სიტუაციებში, რათა ერთმანეთთან დაპირისპირებული პერსონაჟების წარმოსახვითი გასაუბრებით გაადვილებოდათ არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების მოფიქრება, შემდეგ კი თავად განესაზღვრათ ესეს არგუმენტირების სტრატეგიები, რაც გამოკითხვების შედეგად ერთი–ერთი სუსტი რგოლი იყო ესეზე მუშაობის დროს.

(სოკრატული დიალოგის ნიმუში იხ დანართი N 2 )

T სქემა ძალიან კარგი საშუალებაა ერთი საკითხის ორი ასპექტის შესადარებლად, ამიტომ იგი მეტად ეფექტური გამოდგა გონებრივი იერიშის შედეგად მოფიქრებული არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების დასახარისხებლად.

ზემოთ ხსენებული მეთოდის მრავალჯერადი გამოყენების შემდეგ გონებრივი იერიში ჩავანაცვლე თავისუფალი წერის სტრატეგიით, რის შემდეგაც მოსწავლეები უკვე დამოუკიდებლად იყენებდნენ T სქემას.

ერთად წერის სტრატეგიამ კლასში შექმნა უშუალო, თანამშრომლობითი გარემო. მოსწავლეებისათვის მეტად სასარგებლო გამოდგა ჩემი ნაწერის მოსმენის და მასზე საკუთარი შეხედულებისა თუ რიგ შეთხვევაში შენიშვნებისა და რეკომენდაციების გამოთქმის პრაქტიკა. ამ სტრატეგიამ მათ დაანახა, რომ მათი მოსაზრება ჩემთვის მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია, რამაც თავდაჯერებულობა შემატა იმათ, ვინც მიიჩნევდა, რომ არგუმენტირებული ესეს წერა დაუძლეველი სირთულე იყო.

მეტად ეფექტური გამოდგა, როცა მოსწავლეები თავად აკეთებდნენ საკუთარი ნაწერების რედაქტირებას. ანკეტირებამ აჩვენა, რომ ძალიან ცოტა მოსწავლე თუ მიმართავდა ესეს პირვანდელი ვარიანტის რედაქტირებას, ყველაზე ხშირად ისინი დროის უქონლობას ასახელებდნენ მიზეზად. სამწუხაროდ, ხდებოდა ისეც, როცა მოსწავლეები, ფაქტობრივად, ე.წ. „შავ ვარიანტს“ აბარებდნენ. ამ პრობლემის გამოსასწორებლად მივმართე შემდეგ სტრატეგიას: მოსწავლეთა ნაწერებს ვამოწმებდი კრიტერიუმების მიხედვით და ცალკე ფურცლებზე ვწერდი შესაბამის ქულას, ხოლო რვეულებში ყოველი შეცდომის გაწვრივ, მინდორზე, ვაწერდი შეცოდმის ტიპს და ვრცელი განმავითარებელი კომენტარის მეშვეობით მივანიშნებდი მოსწავლეს, თუ რა უნდა სცოდნოდა, რომ მსგავსი ტიპის შეცდომა არ დაეშვა. ამის შემდეგ მოსწავლეები თავად ასწორებდნენ საკუთარ ნაწერებს, ქმნიდნენ მის გადამუშავებულ, საბოლოო ვერსიას, რომელთაც კვლავ ვასწორებდი ცალკე ფურცელზე, კრიტერიუმების მიხედვით. მოსწავლეებს შესწორებულ ესეებთან ერთად უკვე ვაძლევდი ფურცლებსაც და ისინი თავლსაჩინოდ ხედავდნენ, თუ რამხელა განსხვავება იყო რედაქტირებამდელ და რედაქტირებულ ტექსტებს შორის, ქულების მიხედვით. მართალია, თავდაპირველად ეს იყო მეტად ხანგრძლივი პროცესი, ერთი ესეს დამუშავებას სჭირდებოდა 2–3 დღე, თუმცა, როცა მოსწავლეები დარწმუნდნენ პირველადი ვარიანტის გადახედვისა და რედაქტირების აუცილებლობაში, უკვე ჩემი ჩარევის გარეშე ართმევდნენ თავს ამ პროცესს.

ერთ-ერთ პრობლემად ანკეტირებაში დასახელდა ცოდნის ტრანსფერის უნარი. როგორც აღმოჩნდა, მოსწავლეთა 42%-ს უჭირს სხვა საგნებში მიღებული ცოდნის დაკავშირება ესეს

თემასთან. ამიტომ ჩავატარე ინტეგრირებული გაკვეთილი ისტორიასთან. გაკვეთილი გათვლილი იყო ესგ–ს შემდეგ სტანდარტებზე:

**ქართ. XI.1. მოსწავლეს შეუძლია საჯარო მოხსენების წარმოდგენა (ზეპირი გამოსვლა კონკრეტული აუდიტორიის წინაშე კონკრეტული მიზნით.**

შედეგი თავლსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მკაფიოდ, ცხადად და გასაგებად აყალიბებს განსახილველი საკითხის არსს, პრობლემის განმსაზღვრელ ასპექტებს და საკუთარ მოსაზრებას;

**ქართ. XI. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ეპოქის ტექსტების გაანალიზება მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თავლსაზრისით.**

შედეგი თავლსაჩინოა, თუ მოსწავლე

- აანალიზებს კონკრეტული ეპოქის დამახასიათებელ ნიშნებს და მათს გავლენას ლიტერატურულ ნაწარმოებში პრობლემის გადაჭრის გზებზე.

**ქართ. XI.10. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ესეის დაწერა.**

შედეგი თავლსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წერს ესეის, რომელშიც პირად ან ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მსჯელობს მოცემული თემის, პრობლემის შესახებ (ამტკიცებს/ უარყოფს, გამოთქვამს ვარაუდს, ადარებს, ავლებს პარალელებს);

**ისტ XI. 5. მოსწავლეს შეუძლია საქართველოსა დამსოფლიოში საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკვანძო საკითხების კვლევა.**

- წერს თემას მსოფლიოში განვითარებული უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენის შესახებ, რომელმაც გავენა მოახდინა ქართული სახელმწიფოს (სახელმწიფოების) შემდგომ განვითარებაზე.

გაკვეთილმა მოსწავლეებს ხელი შეუწყო, გამოემუშავებინათ შემდეგი უნარ–ჩვევები:

- პრობლემის ანალიზის;
- ვარაუდების გამოთქმის;
- კრიტიკული და არგუმენტირებული მსჯელობის;

- მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენის
- საკუთარი პოზიციის წერილობითი ჩამოყალიბების;

ინტერვენციების პერიოდში სისტემატურად გამოწმბდი მოსწავლეთა მიღწევებს როგორც შემაჯამებელი დავალებების, ისე გეგმური წერითი საშინაო დავალებების მეშვეობით, ასევე ჩავატარე ერთგვარი შემაჯამებელი ანკეტირება, რომელმაც დამანახა თვალსაჩინო განსხვავება ინტერვენციებამდე არსებულ და მის შემდეგ შექმნილ მდგომარეობას შორის.

### ანკეტირების შედეგები

	კითხვები	კი	არა	ნაწილობრივ ზოგჯერ
1	ჩემთვის წერა სასიამოვნო პროცესია	36%	24%	40%
2	ნაწერის ხარისხზე მოქმედებს სპეციფიკური დღის განრიგი	33%	34%	33%
3	მნიშვნელოვნად მიმაჩნია პირველადი ვარიანტის რედაქტირება	40%	15%	45%
4	რედაქტირების დროს ვცვლი ნაშრომის იდეურ-მატერულ მხარეს	25%	27%	48%
5	რედაქტირების დროს ვცვლი ნაშრომის ტექნიკურ მხარეს	60%	10%	30%
6	არგუმენტირებული ესეს წერის დროს მეხმარება პირადი ცხოვრებიერიული გამოცდილება	22%	14%	64%
7	არგუმენტირებული ესეს წერას მიადვილებს ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოში გამოყენებული მასალა და მოცემული სავარჯიშოები.	10%	68%	22%
8	არგუმენტირებული ესეს წერის დროს მეხმარება სხვა საგნებიდან მიღებული ცოდნა	35%	15%	50%

## თავი VII

### 7.1 მიგნებები და რეკომენდაციები

კვლევის შედეგების ანალიზის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ საშუალო საფეხურის ნებისმიერ კლასში წერას მეტი დრო უნდა დაეთმოს. მიუხედავად იმისა, რომ არგუმენტირებული ესეს წერაზე მუშაობას ვიწყებ მეათე კლასიდანვე, მე-11 კლასელებს მასთან დაკავშირებით პრობლემები მაინც აქვთ, რადგან გადატვირთული საპროგრამო მასალის გამო გაკვეთილზე წერითი უნარების დახვეწის პროცესს სათანადო ყურადღება ვერ ექცევა. არადა, ეს



აუცლებელია, რათა მოსწავლისათვის წერა სასიამოვნო პროცესი იყოს და არა ვალდებულება, რომელსაც უხალისოდ ასრულებს. გაკვეთილზევე არგუმენტირებული ესე წერისათვის საჭირო აქტივობებისთვის დროის გამოყოფა მეტად რთულია მეათე კლასშიც, რადგან მოსწავლეები შეისწავლიან ძველ ქართულ ლიტერატურას, რაც მათთვის საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია. ჩემ მიერ გამოყენებულ ერთ–ერთ სატატიაში აღნიშნულია, რომ „ქართულის მასწავლებლის მიზანი უნდა იყოს, მხატვრული ტექსტების სწავლებისა და ანალიზის პარალელურად ხშირად შეიტანოს სასწავლო გეგმებში არგუმენტირებული ესეის თემები და წერის ტექნიკაზე გაამახვილოს ყურადღება“. (მაკა სახურია „კიდევ ერთხელ არგუმენტირებული ესეის კონსტრუირებაზე“ maswavlebeli.ge; 6 დეკემბერი, 2018 წელი). სავსებით ვეთანხმები ავტორს, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მეტად გადატვირთული პროგრამული მასალის პირობებში ეს საკმაოდ რთულია. ცალკე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გაცილებით კარგი იქნებოდა, ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები შედგენილი იყოს არა ქრონოლოგიური, არამედ თემატური პრინციპით.

პრაქტიკული კვლევის დროს გამოყენებულმა აქტივობებმა აჩვენა, რომ მათი ხშირი და მიზანმიმართული გამოყენება საგაკვეთილო პროცესში აუმჯობესებს მოსწავლეთა დამოკიდებულებას წერის პროცესის მიმართ და დამოუკიდებელი მუშაობისას მათ ექმნებათ ნაკლები პრობლემები, რომელთა გადაჭრაც უკვე ხელეწიფებათ.

ასევე, როცა ვსაუბრობთ სხვა საგნებში მიღებული ცოდნის გამოყენებაზე, სასურველი იქნებოდა, ისეთ მომიჯნავე დისციპლინებს, როგორებიცაა ქართული და ისტორია, საშუალო საფეხურის მე–11 კლასში ბევრი საერთო ჰქონდეთ თემატურად, რათა ინტეგრირებული გაკვეთილის ფარგლებში მოსწავლეებს გაუადვილდეთ ცოდნის ტრანსფერი. დავიმოწმებ ჩემი კოლეგის კვლევაში, გამოთქმულ რეკომენდაციებს, რომლებშიც აღნიშნულია: „უნდა მოხდეს საგნობრივ სტანდარტში ცვლილებების შეტანა, განსაკუთრებით მეათე კლასში, რადგანაც პროგრამა მოიცავს ისტორიის კურსის შესავალ ნაწილს, რომლიც ნაკლებპროდუქტიულია, მაშინ, როცა მე–11 კლასის სახელმძღვანელო გადატვირთულია ფაქტებითა და მოვლენებით და მისი შესწავლა დიდ ძალისხმევას მოითხოვს“ ( ზინა ბუბუტეიშვილი, „კრიტიკული აზროვნების განვითარება მოსწავლეებში“ გვ 21);

რადგან არგუმენტირებული ესე ეხება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებს, აუცილებელია ინტეგრირებული პროექტების განხორციელება, რაც გაზრდის მოსწავლეთა ინტერესს, გააფართოებს მათ თვალსაწიერს, დაანახებს წამოჭრილ პრობლემას

მრავალმხრივ ჭრილში, გაზრდის ამა თუ იმ საკითხის შესახებ მათ ინფორმირებულობას და გაუადვილებს ცოდნის ტრანსფერს.

## 7.2 კვლევის ნაკლოვანებები

კვლევის ნაკლად მიმაჩნია ის, რომ მასში მონაწილეობდნენ მხოლოდ მოსწავლეთა ფოკუს-ჯგუფები. უმჯობესი იქნებოდა, კვლევაში ჩართული ყოფილიყვნენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებიც, რომლებიც თავადაც აწყდებიან საშუალო საფეხურზე მსგავს პრობლემებს. მათი თავლსაზრისის გაზიარება მეტად საინტერესო იქნებოდა.

## თავი VIII

### დასკვნა

ჩატარებული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსწავლეებში არგუმენტირებული ესეს წერასთან დაკავშირებულ პრობლემებს იწვევს შემდეგი:

- ✓ საპროგრამო მასალის დიდი მოცულობა, რაც მასწავლებელს საშუალებას ართმევს, მეტი დრო დაუთმოს არგუმენტირებული ესე წერისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას.
- ✓ მწირი ლექსიკური მარაგი;
- ✓ ცოდნის ტრანსფერთან დაკავშირებული პრობლემები;
- ✓ სასკოლო მასალის ქრონოლოგიური და არა თემატური დახარისხება;

პრობლემების აღმოსაფხვრელად განხორციელებული ინტერვენციები მეტწილად შედეგიანი გამოდგა. მოსწავლეებს შეეცვალათ დამოკიდებულება არგუმენტირებული ესეს წერის პროცესის მიმართ. თავად კვლევამ ბევრი საკითხი სხვაგვარად დამანახა და გამოცდილებაც შემძინა. თემასთან დაკავშირებული სხვადასხვა ლიტერატურის გაცნობამ მომცა საშუალება, მრავალი კუთხით დამენახა ესა თუ ის საკითხი და მიკარნახა ისეთი მეთოდები, რომლებმაც სახალისო გახადა და ბევრად გაუადვილა მოსწავლეებს მუშაობის პროცესი. (მაგალითად „სოკრატული დიალოგები“).

## რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ

2018–2019 სასწავლო წელს სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში ჩავატარე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა თემაზე: „არგუმენტირებული ესეს წერასთან დაკავშირებული სირთულეები“. კვლევა მიმდინარეობდა სექტემბრიდან ივნისის ჩათვლით. კვლევის განმავლობაში ჩემი მიზანი იყო არგუმენტირებული ესეების წერის დროს წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიცირება, ანალიზი და მათი გადაჭრის გზების მოძიება, მიზნობრივი ინტერვენციების განხორციელება და რეკომენდაციების შემუშავება.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაზე მუშაობის დასრულების შემდეგ, გადავწყვიტე, რომ ჩემ მიერ განხორციელებული კვლევიდან მიღებული გამოცდილება კოლეგებისათვის გამეზიარებინა და სათანადო შედეგებიც გამეცნო მათთვის. დავადგინეთ შეხვედრის დრო და ადგილი. შეკრებისას ამ საკითხით დაინტერესებულ პირთა წინაშე გავაკეთე პრეზენტაცია. თავდაპირველად ხაზი გავუსვი თემის აქტუალურობას. აღვნიშნე, რომ ნეროვნული გამოცდების ქართული ენისა და ლიტერატურის სავალდებულო გამოცდის ერთ-ერთი დავალება სწორედ არგუმენტირებული ესეს დაწერას ითვალისწინებს და 24 ქულით ფასდება, რაც ქულათა საერთო რაოდენობის 30%-ზე მეტს შეადგენს. ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმათთვისაც, ვინც სწავლის გაგრძელებას საზღვარგარეთ გეგმავს, რადგან საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამაში ჩართულ მოსწავლეებს სწორედ ესეს სათანადო დონეზე წერა ევალებათ. ამგვარად, არგუმენტირებული ესეს წერის ტექნიკის დახვეწა პრინციპული საკითხია, რათა მოსწავლემ არა მხოლოდ ეროვნულ გამოცდებში მიაღწიოს წარმატებას, არამედ გამომუშავებული უნარ-ჩვევები დაეხმაროს პროფესიული წინსვლა-განვითარების ნებისმიერ ეტაპზე. კოლეგებს გავაცანი მონაცემთა შეგროვებისა და მათი გაანალიზების შედეგად დაგეგმილი ინტერვენციები, მათი გამოყენების შემდეგ მიღწეული შედეგები. აღვნიშნე, რომ ინტერვენციებმა გაამართლა, რაც დაადასტურა კიდევ შემდგომმა ანკეტირებამ.

დადებითი იყო კოლეგების უკუკავშირი. მათ აღნიშნეს, რომ მოცემული კვლევა საინტერესოა არა მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის, არამედ იმ საგნების მასწავლებლებისთვისაც, რომლებიც არგუმენტირებულ ესეს, როგორც წერით აქტივობას ხშირად იყენებენ თავიანთ გაკვეთილებზე (მაგალითად, ისტორია, უცხო ენა, სამოქალაქო განათლება).

## ბიბლიოგრაფია

1. ბუბუტიეშვილი ზინა, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა „კრიტიკული აზროვნების განვითარება მოსწავლეებში“ ქუთაისი 2018;
2. გოჩიტაშვილი ქეთევან, შაბაშვილი გიული „ანალიტიკური წერა“  
[http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/wignebi/analitikuri%20werA/analitikur\\_i%20wera-9.htm](http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/wignebi/analitikuri%20werA/analitikur_i%20wera-9.htm)
3. თოფურია ქეთევანი, „წერთი მეტყველების სწავლების სტრატეგიები“; თბილისი 2011
4. ინასარიძე მათა, ნაჭყებია მათა, „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები“, გამომცემლობა „საიმედო“, თბილისი 2015
5. რატიანი ნესტანი „არგუმენტირებული ესე\_როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს“ ინტერნეტგაზეთი masstsavlebeli.ge 2 მაისი 2017 წელი
6. სახურია მაკა „კიდევ ერთხელ არგუმენტირებული ესეს კონსტრუირებაზე“, ინტერნეტგაზეთი masstsavlebeli.ge 6 დეკემბერი 2018 წელი
7. შავთვალაძე ნანა „აკადემიური წერის საფუძვლები“, გამომცემლობა „publishing.ge“, თბილისი, 2015 წელი;
8. წულაძე ლია „აკადემიური წერა“, თბილისი, 2006  
<http://old.ucss.ge/publication/014%20Academiuri%20Cera.pdf>
9. . „  
[http://challenge.kz/storage/books/%D0%A2%D0%B5%D0%BC%D0%B01\\_1538245716.pdf](http://challenge.kz/storage/books/%D0%A2%D0%B5%D0%BC%D0%B01_1538245716.pdf)

**დანართი N 1**

2018 წლის ცვლილებები მიზნად ისახავს შეფასების მექანიზმის სრულყოფას. ახალი კრიტერიუმებით არგუმენტირებული ესეს შეფასების მაქსიმალური ქულაა 24, ნაცვლად 20 ქულისა. ამ კრიტერიუმებით გაიზარდა ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასების ხვედრითი წილი, რაც მიზნად ისახავს მსჯელობის არგუმენტირებისა და არაშაბლონურობის, აგრეთვე კრიტიკული აზროვნების წახალისებას.

ტექსტის რედაქტირების მაქსიმალური შეფასება იქნება 16 ქულა, ხოლო წაკითხულის გააზრებისა და მხატვრული ტექსტის ანალიზის შეფასებათა მაქსიმალური ქულები უცვლელად რჩება.

გთავაზობთ კრიტერიუმების ახალ ვარიანტს:

**არგუმენტირებული ესეს შეფასების კრიტერიუმები**

**I კრიტერიუმი**

დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება		ქულები
1	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული	2
2	დავალების პირობა ნაწილობრივ არაადეკვატურადაა გაგებული.	1
3	დავალება მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული. ნაწერი აღარ სწორდება	0

**II კრიტერიუმი**

ნაშრომის აგება		ქულები
1	ესეს სტრუქტურა სრულად შეესაბამება დასმულ ამოცანას, ნაშრომი კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, წარმოდგენილი მაგალითები არ არღვევს ტექსტის მთლიანობას, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	2
2	ესეს სტრუქტურა შეესაბამება დასმულ ამოცანას, ნაშრომი კარგადაა ორგანიზებ-ბული, მონაკვეთები მთლიანობაში თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლე-ბა ერთმანეთს, წარმოდგენილი მაგალითები ძირითადად არ არღვევს ტექსტის მთლიანობას, მაგრამ აბზაცები სწორად არ არის გამოყოფილი; ანდა აბზაცები სწორადაა გამოყოფილი, მაგრამ ესეს სტრუქტურა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება დასმულ ამოცანას, რიგ შემთხვევაში დარღვეულია მონაკვეთების თანამიმდევრულობა, წარმოდგენილი მაგალითები ნაწილობრივ არღვევს ტექსტის მთლიანობას.	1
3	ესეს სტრუქტურა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება დასმულ ამოცანას, ნაშრომში დარღვეულია ტექსტის ლოგიკა და/ან აბზაცები სწორად არ არის გამოყოფილი.	0

### III კრიტერიუმი

პრობლემის გააზრება		ქულები
1	ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ცოდნა, აბიტურიენტის ინფორმირებულობა და ერუდიცია.	3
2	ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ცოდნა, აბიტურიენტის ინფორმირებულობა და ერუდიცია.	2
3	ნაშრომში გამოვლინდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ზერეღე ცოდნა, არ ჩანს აბიტურიენტის სათანადო ინფორმირებულობა და ერუდიცია.	1
4	აბიტურიენტი ვერ ერკვევა განსახილველ საკითხთან დაკავშირებულ პრობლემატიკაში.	0

### IV კრიტერიუმი

მსჯელობის დასაბუთება		ქულები
1	მსჯელობა დამაჯერებლად და დასაბუთებული და არგუმენტები გამყარებულია შესაფერისი მაგალითებით.	5
2	მსჯელობა მთლიანობაში დასაბუთებულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არგუმენტაცია არასაკმარისია და/ან არ არის გამყარებული შესაფერისი მაგალითებით.	4
3	მსჯელობა დასაბუთებულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არგუმენტებსა და მოხმობილ მაგალითებს დამაჯერებლობა აკლია.	3
4	მსჯელობა ზერეღედაა დასაბუთებული და არგუმენტები არადამაჯერებელია.	2
5	მსჯელობა ძალზე ზოგადია, არგუმენტები და/ან მაგალითები არაადეკვატურია.	1
6	მსჯელობა დასაბუთებული არ არის.	0

V კრიტერიუმი

დამოუკიდებელი აზროვნება		ქულები
1	ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა.	2
2	ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა.	1
3	ნაშრომში არ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.	0

V კრიტერიუმი

ფაქტობრივი სიზუსტე		ქულები
1	ნაშრომში არ არის ფაქტობრივი შეცდომა	1
2	ნაშრომში დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა	0

VII კრიტერიუმი

ლექსიკა და სტილი		ქულები
1	ნაშრომში შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, დაცულია ნაშრომის სტილის ერთგვაროვნება; აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, გვხვდება ორიოდ სტილისტიკური ხარვეზი.	3
2	ნაშრომში შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, მთლიანობაში დაცულია ნაშრომის სტილის ერთგვაროვნება; აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, მაგრამ გვხვდება რამდენიმე სტილისტი-კური ხარვეზი.	2
3	ნაშრომის სტილი ნაწილობრივ შეესაბამება დასმულ ამოცანას, ცალკეულ შემთხვევებში დარღვეულია სტილის ერთგვაროვნება; აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა და სტილისტიკური ხარვეზები.	1
4	ნაშრომის სტილი მთლიანობაში არ შეესაბამება დასმულ ამოცანას, სტილისტიკური გაუმართავია.	0

### VIII კრიტერიუმი

მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი		ქულები
1	არ არის დაშვებული ერთზე მეტი შეცდომა.	4
2	არ არის დაშვებული ორზე მეტი შეცდომა.	3
3	არ არის დაშვებული ოთხზე მეტი შეცდომა.	2
4	არ არის დაშვებული ექვსზე მეტი შეცდომა.	1
5	დაშვებულია ექვსზე მეტი შეცდომა.	0

### IX კრიტერიუმი

პუნქტუაცია		ქულები
1	არ არის დაშვებული სამზე მეტი შეცდომა.	2
2	არ არის დაშვებული ექვსზე მეტი შეცდომა.	1
3	დაშვებულია ექვსზე მეტი შეცდომა.	0

გაითვალისწინეთ!

ნაშრომი, რომლის მოცულობაც 120 სიტყვას არ აღემატება, VII, VIII და IX კრიტერიუმებით არ შეფასდება.

#### დანართი N 2

„სოკრატული დიალოგის“ თემა: „ახალგაზრდებს მეტი თავისუფლება უნდა მიეცეთ, მათი ყოველი ნაბიჯის გაკონტროლება დაუშვებელია“ (დიალოგის მონაწილე მოსწავლეები პირობითად აღნიშნული არიან 1-ლი და მე-2)

**1-ლი :** -შენი აზრით, რა არის თავისუფლება?

**მე-2:** -თავისუფლება ნიშნავს იმას, რომ არავინ გზღუდავს ქმედებასა და საუბარში, ცხოვრობ ისე, როგორც გინდა.

**1-ლი :** -თუ ასეთი ცხოვრებით საფრთხეს უქმნი შენს თავს და გარშემომყოფთ?



**მე-2:** -შენმა თავისუფლებამ არ უნდა შეზღუდოს სხვისი, რადგან ყველას აქვს უფლება, იცხოვროს ისე, როგორც სურს.

**1-ლი :** -იმას გულისხმობ, რომ უნდა გააკონტროლო საკუთარი თავი? ეს როგორი თავისუფლებაა?

**მე-2:** -თავისუფლება არ ნიშნავს უღირსობას ან აღვირახსნილობას. თავისუფლება პასუხისმგებლობაა.

**1-ლი :** -რატომ ცდილობენ მშობლები, იცოდნენ თავიანთი შვილების ყოველი ნაბიჯი?

**მე-2:** -ალბათ, ეშინიათ და იმიტომ. მაგრამ მე ეს ძალიან მაღიზიანებს, შენ არა?

**1-ლი :** -მეც. სულ რომ მირეკავენ და მეკითხებიან: ახლა სად ხარ? ვისთან ერთად ხარ? როდის მოხვალ?

**მე-2:** -ჰო, და მერე სურვილი მიჩნდება, ისეთი რამე ვთქვა, რომ დამშვიდდეს და აღარაფერი მკითხოს.

**1-ლი :** -ანუ ატყუებ ხოლმე?

**მე-2:** -ზოგჯერ კი.

**1-ლი :** -ესე იგი, ზედმეტი კონტროლი უკუშედეგს იწვევს?

**მე-2:** -აბა რა! თავმოებურებული, იტყუები, რომ შეგეშვან.

**1-ლი :** -ან ზოგჯერ ისეთ რამეს ჩადიხარ, განგებ რომ გააღიზიანო (იციინის).

**მე-2:** -კი, ასეც ხდება ხოლმე. მაგრამ მე ასე არასდროს მოვქცეულვარ, შენ?

**1-ლი :** -მე. . . კი. . . ერთხელ თუ ორჯერ, მაგრამ მერე თვითონვე მინანია (იციინის).

**მე-2:** -მგონი, მშობლებს უჭირთ იმასთან შეგუება, რომ შვილები იზრდებიან და მათზე არ არიან დამოკიდებული.

**1-ლი :** -კი, ეს მართალია. თან ყოველთვის ხომ ვერ დაიცავ! მაინც ხომ მოუწევს დამოუკიდებლად რაღაცის გაკეთება და მერე?

**მე-2:** -მართალია. დამოუკიდებლობას ვერ მიეჩვევა, თუ სულ გააკონტროლებ. რაღაცას რომ ცუდად გააკეთებ, ხომ სწავლობ საკუთარ შეცდომებზე და სხვა დროს უკეთ გამოგივა.

**1-ლი :** -ყველაზე მეტად რა მაღიზიანებს, იცი?

**მე-2-რა?**

**1-ლი:** -მშობლები რომ წინასწარ გეგმავენ, სად უნდა ჩააბარო, რა პროფესია უნდა აირჩიო, რა ჩაიცვა, როგორ იცხოვრო.

**მე-2 :** -მგონი, ზოგჯერ იმიტომ აკონტროლებენ ასე, რომ არ ენდობიან.

**1-ლი:** -ჰო, და როცა ვხედავ, რომ ვიღაც არ მენდობა, მერე მე თვითონ მეკარგება მისი ნდობის სურვილი.

**მე-2:** -ეგ ძალიან ცუდია ურთიერთობისთვის.

**1-ლი:** -კი, და ამიტომაც რომ შვილები და მშობლები ხშირად კამათობენ.

**მე-2:** -არა, რა! უფროსებმა უნდა გაიგონ, რომ ჩვენ მეტი თავისუფლება გვჭირდება.. .

**1-ლი:** -რომ ვისწავლოთ, ცხოვრებით დავტკბეთ.

**მე-2:** -და ზოგჯერ შეცდომებიც დავუშვათ.

**1-ლი:** -ჰო, და მერე მშობლები შეგვისწორებენ ან რჩევას მოგვცემენ.

**მე-2:** -საერთოდ, აჯობებს, რჩევებს მანამდე მოვუსმინოთ.

**1-ლი:** -ჰო, მაგრამ უშეცდომო არავინაა. მათ უნდა გაიხსენონ, როგორები იყვნენ ჩვენს ასაკში და საკუთარი მშობლების შეცდომებზე ისწავლონ.